წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, კვირა 2 ივლისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, კვირა 2 ივლისი 1906 წ.

№ 10. ყოველ დღიური გაზეთი № 10.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“.

გაზეთი ღირება:

**თფილისში:** წლიურათ—5 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“.

## უმუშავრობა და რევოლიუცია.

მაშინ, როცა მაღლა რევოლიუციის მშფოთარე ტალღები გამძვინვარებით ბობოქრობენ და ყველაფერს წინ ამართულს წალეკას და განადგურებას უქადიან, ძირს ღრმა ეკონომიური კრიზისია გამეფებული. დიდებულ მისწრაფებას ხალხისას, მის თავდავიწყებულ ბრძოლას მტარვალებთან, თან სდევს აუტანელი ტკივილები. ასეთი წინააღმდეგობაა რევოლიუციაში გამონასკული: უმუშავარი მშიერი უბინაო უმაღლესი მატარებელი შეიქნა წმინდა განმათავისუფლებელ დროშისა.

უმუშავარი ეს ეკონომიური ფსკერია დღევანდელ უკუღმართ წესწყობილებისა. ბევრი ბოროტებაა, რომელიც მხოლოდ უმუშავრის ხვედრს შეადგენს, მაგრამ არც ერთ კლასს, არც ერთ ჯგუფს არ აწევს კისერზე ისეთი სიმძიმე, რომლისაგანაც უმუშავარი თავისუფალი იყოს. მან ყველაზე ადრე და ყველაზე მწარეთ უნდა იწვნიოს საზოგადოების ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩარხის მოშლა. მოუსავლობა სოფელში, გადასახადთა აუტანლობა, ბაზრის შემცირება, გაფიცვათა მოარული, სამხედრო წესები და დამსჯელ რაზმების თარეში, ყველა ამის სიმწარე სხვაზე ადრე და სხვაზე საგრძნობლათ უმუშავარს უნდა შეხებოდა; ყოველი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი უმუშავრობის ფორმას იღებს. ამიტომ უმუშავარი ეს პირველ ყოვლისა არსებულ წესწყობილებისადმი სიძულვილის განხორციელებაა; და დღევანდელი მოძრაობა უმუშავართა იმით არის ღირს შესანიშნავი, რომ ეს ინსტიქტიური სიძულვილი შეგნებულ ფორმაში ჩამოყალიბებულა: დღევანდელ პოლიტიკო-ეკონომიურ კრიზისის მიზეზებთან ბრძოლის ფორმაში. უკანასკნელი, საბოლოო მიზეზი დღევანდელ კრიზისის და მაშასადამე დღევანდელ უმუშავრობის არის თვითმპყრობელობა და მისი ურცხვი მტაცებლობის პოლიტიკა, რომელსაც ის საუკუნეთა განმავლობაში აწარმოებდა. მართალია, ის რომ კრიზისი და უმუშავრობა კაპიტალისტურ წეს-წყობილებისა, აუცილებელი თანამგზავრია, მაშასადამე ის აუცილებელი სტუმარია ისეთ ქვეყნებშიაც, სადაც თვითმპყრობელობა აღარ არსებობს, მაგრამ, როგორც ეხლავე ავხსნით, რუსეთის კრიზისი რუსეთის საკუთარი პირობების ღვიძლიშვილია. თვითმპყრობელობამ გამოსწოვა რუსეთის გლეხობას ყოველივე სიცოცხლის ძალა, დაავალიანა, ყოველივე ადამიანური მოთხოვნილებები გაუქრო, და ამნაირათ, ერთი მხრივ ქალაქის მრეწველობას სოფლის ბაზარი მოუსპო, მეორე მხრივ ქარხანა. ზავოდების კარებზე დამშეული გლეხთა მთელი ურდოები მიაყენა. გაიაფებული შრომა და შევიწროვებული ბაზარი კრიზისს ამწვავებდა და უმუშავართა რაზმს ზრდიდა და ხაზინა სცდილობდა ამ გაჭირვებაში კაპიტალისტებს დახმარებოდა. რამდენი ცოდო-ბრალით ნაცარც-ნარბევ ფულებს ის კაპიტალისტებს პრემიებათ უნიავებდა! მთავრობა სცდილობდა გაეფითარებინა თვისი მორჩ ლი, მის ძუძუს შემაცქერალი კაპიტალი. და მრავალი დარგის მრეწველობისა დაფუძნებული იყო (და არის კიდეც) სახელმწიფო იჯარებზე და, „ზაკაზებზე“. ამნაირათ მთავრობის მფუდრო ფრთეთა ქვეშე განვითარდა პარაზიტული, ყოველს თაოსნობის უნარს და შემოქმედობითი ნიჭს მოკლული კაპიტალი. აი ასე „აზიზათ“ გაზრდილმა კაპიტალმა რა თქმა უნდა ვერ აიტანა ის თანაწონობის დარღვევა, რომელიც გამოიწვია მასში ჯერ იაპონიასთან ომმა და მერე სამოქალაქო ომმა რუსეთის ხალხთან. თავის თავათ კრიზისი უნდა დაბადებულიყო. კრიზისს უფრო ამწვავებდენ ის ყალბი აქციონერული საზოგადოებები, რომელსაც მთავრობა აარსებდა თავის საიდუმლო აგენტების საშვალებით, როცა მას „ხელის მოსანაცვლებელი“ ფული დასჭირდებოდა. პრესსის პირში ბურთის ჩაჩრით მთავრობა მუდამ ახერხებდა ასეთ შემთხვევებში წყლის ამღვრევას და თავის ცრუ აქციებში წვრილი, „ლიფსიტა“ კაპიტალისტების დაჭერას, ხანდა ხან მსხვილი კაპიტალისტების გაბმასაც. და როდესაც ეს შარლატანური დაწყებულება საპნის ბუშტივით გასკდება, ამას, ბევრი წვრილი კაპიტალისტების და ხანდისხან სხვილის გაკოტრებაც მოჰყვებოდა, თვითმპყრობელობაკი მუდამ ახერხებდა „კანონის“ წინაშე კვალის ჩაფარცხვას მიუმატეთ ყველა ნათქვამს ურიების და ინტელიგენციის აკლება რუსეთის მრავალ ქალაქებში, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა კავკასიაში, დამსჯელ რაზმთა ენერგიული „მოღვაწეობა“, — ყველა ეს სამეფო „დიადემის“ დამამშვენებელი მარგალიტები და თქვენ მიიღებთ დაახლოვებით სრულს წარმოდგენას რუსეთის უმუშავრობის მიზეზებზე.

აქედან ნათლათ სჩანს, თუ რა ღრმა ინტერესთა წინააღმდეგობა ყოფილა ძველ რეჟიმსა და უმუშავარს შორის. შეგნებული ბრძოლა ზემოთ დასახელებულ მოვლენებთან ნიშნავს თვით მპყრობელობის მთელ საძირკველთან ბრძოლას. მართლაც უსაქმოთ დარჩენილთა მოძრაობა მთელ რუსეთში აშკარა პოლიტიკურ ფორმას იღებს და თვით მპყრობელობაც თავისებურათ, ეგებება უმუშავართა გამოსვლას. კითხვა აქ პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავათ არის დაყენებული-ან შენ იყავ, ან მეო. გადაავლეთ თვალი ამ რამდენიმე თვის უსაქმოთ დარჩენილთა ხრონიკას, — აუარებელი სახაზინო საწელოსნოებიდან და სხვა დაწესებულებიდან ათი ათასობით ითხოვენ არაკეთილ საიმედო მუშებს. ამ კეთილ საიმედო საქმის დასაგვირგვინებლათ იგივე მთავრობა უსაქმოთ დარჩენილებს ეტაპით დამშეულ სოფლებში აგზავნის. დათხოვნა, ეტაპი და კრებების აკრძალვა აი მარტივი და სადა საშვალება, რომელიც მთავრობას ერთად ერთ საშვალებად მიაჩნია უმუშავართა კითხვის გადასაწყვეტათ. იმავე პოზიციას უტრიალებს, თუმცა მხდალათ და ქურდულათ, ბურჟუაზიაც. მან უკვე წარმოსთქვა თავის არჩევანი ძველ რეჟიმსა და პროლეტარიატს შორის და უმუშავართა მოძრაობა ხომ მას პირდაპირ ჯიბეს აჭრის, და აქ კიდევ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კავშირზე ლაპარაკი სასაცილოა და მეტი არაფერი. პირიქით თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის შორის აქ ნამდვილი კავშირი არსებობს. უმუშავრობის კითხვას ბურჟუაზიაც მასსიურ დათხოვნით და მეამბოხე მუშების დევნით სჭრიდა და ეს კავშირი უფრო და უფრო განმტკიცდება იმდენათ, რამდენათაც გამწვავდება ბრძოლა ერთი მხრივ პროლეტარიატს მეორე მხრივ ბურჟუაზიასა და თვითმპყრობელობის შორის და გადამწყვეტ ბრძოლის დროს ეს კავშირი საგრძნობელ ძალას დაუყენებს წინ პროლეტარიატს საზოგადოთ და კერძოთ უმუშავართ: და ამ ძალის დასაძლევათ დიდი მომზადებაა საჭირო.

„შრომის უფლებაო“, ამ ლოზუნგმა და თვით მართველობისადმი მიმართვამ დიდი როლი ითამაშა ამ მომზადებაში, მან ადგილიდან დასძრა უშველებელი მასსა, რომელსაც მეტნაწილათ ჯერ შეგნებულპროლეტარული სიტყვა არ მოჰხვედრია, შეაკავშირა ის, და მოკლე დროში მტკიცე და მჭიდრო ორგანიზაცია შექნა. მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ძალა. მაგრამ საჭირო არ არის მარტო ამ ლოზუნგზე ვიყოთ შეჩერებული ვიდრე მას ძალა არ დაუკარგავს, საჭიროა საერთო პროლეტარული ფართო ორგანიზაციის შექმნა.

უსაქმოთ დარჩენილთა საბჭო იქნება ცენტრი, რომელსაც ზედ მიაშენდება მრავალი ფართო მასსიური ორგანიზაციები და ამნაირათ შესაძლო შეიქნება შეთანხმებულის ნაბიჯით მტრისაკენ წასვლა. მაშინ „შრომის უფლების“ ლოზუნგიდან პროლეტარიატი სახელს გარდა რამე სხრავსაც გამოიტანს. მაშინ პროლეტარიატი, როგორც მწყობრათ დარაზმული და მოქმედი ძალა, ღირსეულათ იკისრებს რევოლიუციის წინამძღოლობას, და რევოლიუცია გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ჯან-ბეჟანი.

## რაში შესდგება ამხ. ბრადიაგას შეცდომა?

ჩვენს უთანხმოებას ერთ დროს ველური ხასიათი ჰქონდა კავკასიაში. უშვერი ლანძღვა-გინება, უღირსი ცილის-წამება, სამხედრო წესები ორგანიზაციებში, ერთმანეთის განდევნა ორგანიზაციებიდან და ურთი-ერთული ბოიკოტი, — აი უმთავრესათ რა ფორმები ჰქონდა ჩვენში უთანხმოებას. რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარი უთანხმოება განხეთქილებათ გადიქცეოდა... რატომ იყო ასე, და არა სხვანაირათ, აქ ამის ახსნას ვერ გამოვეკიდებით, — ვიტყვით მხოლოთ, რომ ჩვენს პარტიაში რომ მეტი ყოფილიყო შეგნებული მუშაკები, პარტია რო ისე უსუსური არა ყოფილიყო, როგორც ის ამ ორი წლის წინეთ იყო, მაშინ ნაკლები ადგილი ექნებოდა ინტელიგენტურ შარიანობა-კინკლაობას და, უეჭველია, უთანხმოებას უფრო კულტურული სახე ექნებოდა. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ასე არ იყო იმ დროს... წავიდეს და ნუღარ მობრუნდება ის დრო!..

რევოლიუციის განვითარებამ, ერთ მხრივ, და შემაერთებელმა სიეზდმა, მეორე მხრივ, ნიადაგი დაუნგრია ძველს განხეთქილებას და უფრო კულტურული სახე მისცა ჩვენს იდეიურ უთანხმოებას, — განხეთქილება მოისპო, უთანხმოებას პარტიული ხასიათი მიეცა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა პარტიაში დღევანდელი ამხანაგური კრიტიკა. ამხ. ბრადიაგას წერილი (იხ. „ლამპარი“ № 53 „რატომ ვემხრობი მენშევიკებს“. ბრადიაგა) ამტკიცებს, რომ ჩვენშიაც მოუპოვებია ნიადაგი ამხანაგურ კრიტიკას — ჩანს აქაც ისპობა უთანხმოების უკულტურო ფორმები. ჩვენ სიხარულით ვეგებებით ამ მოვლენას!..

ამხ. ბრადიაგა ამბობს: „ერთათ ერთი ტაკტიკა, რომლის განმახორციელებელიც უნდა იყოს ჩვენი პარტია... ეს მენშევიკების ტაკტიკაა. ამის დასამტკიცებლათ — განაგრძობს ამხანაგი — მე აღვნიშნავ ბოლშევიკების შეხედულების ერთ მხარეს, რომელიც წითელ ზოლათ არის გასმული მათს მოქმედებაში (იხ. „ლამპ.“ № 53.)

რითი ამტკიცებს ნათქვამს ამხ. ბრადიაგი და რაში შესდგება ეს „წითელი ზოლი“?

„ბოლშევიკურ ტაკტიკას ყოველთვის მიზნათ ჰქონდა მხოლოთ რევოლიუციის მოხდენა. ეს ტაკტიკა ვერც კლასიურ თვით კნობიერების, ვერც ორგანიზაციულათ მოწყობის საშუალებას ვერ აძლევდა პროლეტარიატს — პირიქით — იგი ხელს

**რუსეთის ს. დ. მ. პარტიის ჩრდილო-დასავლეთ კავშირმა ცენტრ. კომიტეტის რეზოლიუცია მიიღო. — მოსკოვში, ადესაში და იუზოვკაში გაფიცვები დაიწყო. მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმე 19 სექტემბრისთვის დაინიშნა. — ხმებია, საომარ და გაძლიერებულ წესების გაუქმებას აპირებენო.**

უშლიდა და უშლის კიდეც მას ამ საქმეში“ (იხ. იქვე) გამოდის, რომ ბრადიაგას აზრით მენშევიკების ტაკტიკას მიზნათ არა აქვს მხოლოთ რევოლიუციის მოხდენა, რომ ის საშვალებას აძლევს პროლეტარიატს როგორც კლასიური თვითშეგნებისთვის, ისე ორგანიზაციულათ მოწყობისთვის...

საბუთები? რა ფაქტები აქვს ხელში ამხ. ბრადიაგას?

„როცა თბილისში და რუსეთის ქალაქებში ბურჟუაზიული კლასი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა ლიბერალთა ბანკეტების სახით, მენშევიკები ამბობდნენ: გაუშვით, პროლეტარიატი ჩაერიოს მათს ბანკეტებში, იგი პირისპირ ნახავს თავის მოწინააღმდეგეს... ეს მას პოლიტიკურათ აღზრდის... ბალშევიკები კი ამბობდნენ... პროლეტარიატის საქმე არაა ლიბერალურ ყბედობაში მონაწილეობა... მისი სწორე გზაა არა ლიბერალური ბანკეტები, არამედ ქუჩაო“ (იხ. იქვე). ასეთია ამხ. ბრადიაგას პირველი საბუთი. მართ ლის ამბობს ამხანაგი?

ჩვენ ვამბობთ, რომ ის ფაქტებს ამახინჯებს, ალბათ თავის და უნებურათ, ჩვენ ვამბობთ, რომ ბალშევიკები არ უარჰყოფდნენ ბანკეტებში მონაწილეობას,— ისინი მხოლოთ იმას ამბობდნენ, რომ ბანკეტებში მონაწილეობას და ლიბერალებთან კამათს ისე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ეს მენშევიკებს ჰგონიათო (იხ- ლენინის „ზემსკაია კამპანია“ და „ვპერიოდის“ № 1). „ისკრა“ და მენშევიკები ამბობდენ, რომ ლიბერალთა ბანკეტებზე დასწრება „დემონსტრაციის უმაღლესი ტიპიაო“ (იხ. „ისკრის“ „პლან ზემსკოი კომპანიი“). „ვპერიოდი“ და ბალშევიკები პასუხობდნენ, რომ დემონსტრაციის უმაღლესი ტიპი ბანკეტები კი არაა სადაც მარტო „ორატორები“ მოქმედებენ, არამედ—მასსის აშკარა გამოსვლაა, სადაც თითონ მასსა მოქმედებს და ამ მოქმედებაში იწრთვნება. და ისინი უთითებდნენ როსტოვის ფაქტებზე, სადაც გაფიცვებმა და მიტინგებმა (ე. ი. მასსის აშკარა გამოსვლამ) გაცილებით უფრო მეტი შემატა პროლეტარიატს, ვიდრე რომელიმე ლიბერალურმა ბანკეტმა (იხ. „ვპერიოდი“. № 1). რაც შეეხება ბანკეტებზე მონაწილეობას, ამაზე უთანახმოება არ ყოფილა. როგორცა ხედავთ, კითხვა ისე კი არ ყოფილა დაყენებული: ან ბანკეტები, ან ქუჩა, — არამედ რომელს უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება, პირველს თუ მეორესო. და რომ პროლეტარიატის გათვითცნობიერებისთვის მასსის მოქმედებას ე. ი. გაფიცვას, მიტინგს, დემონსტრაციას დასხვას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბანკეტებზე ორატორობას—ამაში ხომ ამხ. ბრადიაგაც დაგვეთანხმება. ასეთია ბრადიაგას პირველი „საბუთის“ უსაბუთობა.

ამხ. ბრადიაგას მეორე საბუთი იმაში შესდგება, რომ მისი აზრით ბალშევიკები უარჰყოფდენ კრიმ-გირეისთან მოთხოვნების წარდგენას (როცა მან ვურია შემოიარა) და ამით პოლიტიკური აღზრდის საშვალებას ართმევდენ გლეხკაცობას.

ჩვენ ვამბობთ, რომ აქაც ფაქტებს ამახინჯებს ამხანაგი, ვფიქრობთ, აქაც თავისდა შეუგნებლათ. ბალშევიკები უარს არ ჰყოფდენ კრიმ-გირეისთან ლაპარაკს. ქუთაისის ორგანიზაცია, რომელიც ბალშევიკებისგან შესდგებოდა, დიდი ფაციფუცით ემზადებოდა კრიმ-გირეის დასახვედრათ, „კავშირის კამიტეტი“, რომელიც ბალშევიკებს წარმოადგენდა, უარს არ ჰყოფდა ამგვარ „დახვედრას“, და თუ ბრადიაგას ერთი ან ორი კაცი უნახავს სადმე წინააღმდეგი, ბალშევიკების პოზიცია რა შუაშია? განა მენშევიკები კი არ იყო ამისთანები? კრიმ-გირეის კომისია შიდლოვსკის კომისიის კოპიო იყო ბრადიაგას აზრით უნდა ვიფიქროთ, რომ ბალშევიკები წინააღმდეგი იქნებოდენ ამ კომისიასთან საქმის დაჭერის. მაგრამ წაიკითხოს ამხანაგმა „ვპერიოდის“ მერვე № და დაინახავს, რომ ბალშევიკები მენშევიკებზე უფრო მხურვალე მონაწილეობას იღებდენ შიდლოვსკის კომისიაში. ცხადია ამხ. ბრადიაგა აქაც სიმართლეს ასცდენია. ასეთია ბრადიაგას მეორე „საბუთის“ უ აბუთობა.

ბრადიაგას მესამე საბუთი იმაში შესდგება რომ მისი აზრით ბალშევიკებმა ბოიკოტის ტაქტიკით ხელი შეუშალეს პროლეტარიატს „ბურჟუაზიას პირისპირ ჩასდგომოდა, კლასთა წინააღმდეგობა გამოეაშკარავებინა, ფართე აგიტაცია პროპაგანდა გაეწია“ და სხვა (იხ. იქვე).

ჩვენ ვამბობთ, რომ ამხანაგი სცდება. საქმე იმაში-კი არაა, რომ ჩვენ გვსურს. ვთქვათ კლასთა წინააღმდეგობის გამოაშკარავება“, საქმე იმაშია, რომ ჩვენმა მოქმედებამ-სწორე გზით წაგვიყვანოს ამ წინააღმდეგობის: გამოაშკარავებისაკენ. რა უფრო ააშკარავებს კლასსთა წინააღმდეგობას ბოიკოტი თუ მონაწილეობა? ბოიკოტის ტაქტიკა—ეს უნდობლობის ტაქტიკაა მთავრობისადმი: ბოიკოტი ამბობს, რომ ხალხს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს, გარდა თავისივე თავისა, ბოიკოტი ამბობს, რომ ზემოდან, დღევანდელი მთავრობიდან, ბორკილების მეტს არაფერს არ უნდა ველოდეთ, რომ ხალხის განთავისუფლება ხალხისავე ხელით უნდა მოხდეს,—ბოიკოტი ეს ხალხის რევოლიუციონური თვითმოქმედებაა. მაშინ როდესაც ეს ხალხის რევოლიუციონური მონაწილეობის ტაქტიკა ერთგვარი ნდობის ტაქტიკაა მთავრობისადმი: მონაწილეობის ტაქტიკა იმ აზრს ავრცელებს, რომ ვითომ შესაძლებელია მთავრობისაგანაც გამოდნეს რამე სიკეთე, მონაწილეობა ცრუ იმედებს აღვივებს ხალხში და, ამგვარათ ფაქტიურათ აბნელებს იმ აზრს, რომ ხალხის განთავისუფლება მხოლოთ ხალხ სავე ხელით შეიძლება მოხდეს. ცხადია, ბოიკოტის ტაქტიკა უფრო ხელს უწყობს კლასთა წინააღმდეგობის გამოაშკარავებას. სჩანს, ამხ. ბრადიაგა აქაც სცდება. ასეთია მისი მესამე საბუთის ავკარგიანობა.

თუ საბუთები ყალბია, ცხადია ბრალდებაც ყალბი იქნება. და აი, ჩვენ ვამბობთ, რომ სცდება ამხ. ბრადიაგა, როცა ის ამბობს, რომ ბალშევიკები „მარტო ქუჩაზე ერეკებიან ხალხს საბრძოლველათო“ ამხ. ბრადიაგას ქუჩა მარტო შეიარაღებული აჯანყება ჰგონია. მაგრამ ის აქაც ცდება. ქუჩა—ეს მასსის თვითმოქმედებაა ბრძოლის ასპარეზზე, რა ფორმაშიაც უნდა გამოიხატოს ეს თვითმოქმედება, ქუჩაა მასოვკები და მიტინგები, ქუჩაა გაფიცვები და მანიფესტაცია—დემონსტრაციები, ვინც იმას ამბობს, რომ პროლეტარიატისთვის მასსის რევოლიუციონურ თვითმოქმედებას უფრო მცირე მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მისი წარმომადგენლების ორატორობას,—ის ისევე დაშორებია მარქსიზმს, როგორც დედამიწა ცას...

ამხ. ბრადიაგა უკეთესს იზამდა, თუ განზე გაგონილ უთანხმოებას თავს დაანებებდა და ნამდვილ უთანხმოებას მიაქცევდა ყურადღებას. აი მაგალითათ, ჩვენ ვამბობთ, რომ პროლეტარიატის გასათვითცნობიერებლათ, მის ასამაღლებლათ და დამოუკიდებელ ძალათ გადასაქცევათ საჭიროა პროლეტარიატის მეთაურობა დღევანდელ რევოლიუციაში, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატი, იძულებული იქნება კუდში გაჰყვეს

# ფელეტონი

—

## ნაციონალური კითხვის გამო *)

ბატონ-ყმობის გაუქმებამ ძირიანათ შესცვალა ჩვენი ხალხის მდგომარეობა. გლეხი ადამიანათ გადიქცა და ასე თუ ისე, თავად-აზნაურობის მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლდა. თავად-აზნაურობამ დაკარგა თავისი წინანდელი გავლენა, მისმა საზოგადოებრივმა მნიშვნელობამ ძირს დაიწია, მას ერის თავათ აღარავინ რაცხდა. ამავე მიზეზით „ნაციის“ ცნებაც გაფართოვდა, დაბალი ხალხიც ნაციის ნაწილათ იქმნა აღიარებული. ის მოღვაწეები, რომლებიც მანამდე ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ხმას არ იღებდენ, ახლა, მისი გაუქმების შემდეგ სულ სხვა კილოზე ღიღინებდნენ, უკვე აღეპულ ციხე-სიმაგრეს ყუმბარებს უშენდნენ, გლეხთადმი სიმპატიის გამოსაცხადებლათ სიტყვებს არ იშურებდნენ. მაგრამ სავსებით რომ გლეხს მიმხრობოდნენ, ამისთვის მათ ძალა არ შესწევდათ: ნაციონალისტი რის ნაციონალისტია, თუ ის ხალხის სხვა ნაწილს მოიძულებს, გარდამავალ წოდებასაც არ ჩაებღაუჭება და სასიკვდილოთ განწირულის გაცოცხლებასაც არ შეეცდება. თავად-აზნაურობისა და გლეხკაცობის დაშეგობრება, მათ შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამრთელება და ასე ჩვენი ერის აყვავება—აი რას ეტრფოდნენ მაშინდელი მოღვაწეები. მართალია, პრაქტიკულათ ამ მიმართულების ნამდვილი შინაარსი—თავად-აზნაურობის დაცვა იყო და მეტი არაფერი, ხოლო საზოგადოთ ერზე ლაპარაკის დროს გლეხკაცობაც იყო ხოლმე სათვალავში და ამ მხრივ არის ის საყურადღებო.

ამ ხანაში, რომელიც ჩვენ სახეში გვაქვს, არ შეწყვეტილა მთელი ერის, როგორც მთელის წამოყენება. საერთო ქართველი ერის გადაჭარბებული ქებადიდება, მის აწმყოზე კვნესა-ტირილი, მომავლის უიმედობა. წარსულში იდეალის ძებნა,—ყველა ეს პირდაპირ ხელობათ გაიხადეს ჩვენმა ლირიკულმა და ეპიკურმა მწერლებმა. მათთვის სრულიათ შეუმჩნეველი იყო, თუ რა ღრმა განვითარებას განიცდიდა ამ დროს ერი, რა სრულიათ ახალ კლასებათ და ჯგუფებათ ყალიბდებოდა იგი. აქედან ცხადია რატომ ისე მტრულათ და აგდებითაც დაუხვდენ ისინი „დასელებს“, რომლებმაც ქართულ მწერლობაში პირველათ იწყეს ლაპარაკი კლასებზე და პარტიებზე. მათ ხალხის დამღუპველათ მიაჩნდათ ეს ახალი ჯგუფი და სიმართლე უნდა ვსთქვათ, ძალ-ღონე არ დაუშურებიათ მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართული ანდაზებით, სამღთო წერილის ციტატებით ისინი დარბაისლურათ ამტკიცებდნენ, რომ ჩვენში კლასებზე ლაპარაკი — სისულელეა, რომ, ის რაც ევროპაშია, ჩვენთვის სულაც არ არის სავალდებულო, რომ არა, ერთითა მხოლოთ პურითა სცხონდების კაცი და სხ. ცხოვრებამ საუცხოვოთ გადაწყვიტა ეს სადავო კითხვა, გადაწყვიტა დასელების სასარგებლოთ: კლასების და პარტიების ბრძოლა მეტის მეტათ აშკარა შეიქნა, რომ ვისმე მათი უარყოფა გაებედა. ნაციონალისტებმა მიატოვეს თავისი პოზიცია, (კლასების უარყოფისა) მაგრამ მათ მაგიერათ გამოვიდა ახალი გარემოებების დაგვარათ სახე შეცვლილი ნაციონალიზმი, რომლის ბაირაღტარათ ბ. ჯორჯაძე შეიქნა.

არსებობს კლასები, არსებობს მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობა, და მაშასადამე არსებობს კლასთა ბრძოლა. მაგრამ.. არსებობს კითხვები. ყველა ამ კლასებისათვის ერთნაირათ საყურადღებო და ინტერესთა სოლიდარობის შემქმნელი. ეროვნების აყვავებაში ამ უკანასკნელი რიგის ინტერესებს აქვს მნიშვნელობა და მათ უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. ეს ინტერესე ბი მთელ ერს ერთნაირათ ეხება, მის სასიცოცხლო კითხვას შეადგენს, ამიტომ ყველა კლასებმა ერთნაირათ უნდა მიიღონ მონაწილეობა მის გადაწყვეტაში, და საერთო მოქმედება იწყონ. — ასე აყენებს კითხვას ახალი ჯურის ნაციონალიზმი. მაგრამ სიახლე და ორიგინალობა კითხვის დაყენებაში კი არ არის,—მის გადაწყვეტაშია. როგორ სწყვეტავს ჯორჯაძე ძველ კითხვას ახალ პირობებში?

მისი „საერთო მოქმედების“ პროგრამა ასეთია: ა) ქართული ენის დაცვა; ბ) ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა“. (ცნ. ფ. 1416 საერთო მოქმედების ნიადაგი). *)

ამ გადაწყვეტაში უპაკაკითო გულ-ახდილობით გვამცნევს ბ. ჯორჯაძე, თუ ნამდვილათ რა სარჩული უდევს მის ნაციონალიზმს და რა ყალბ ნიადაგზეა ის დამყარებული. ის სწერს: „ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში—კლასთა ბრძოლის ნიადაგათ კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობათ ჩვენის ხალხის ნაციონალურ აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი, ესე იგი, ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დაუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასოთ-ამწყობი იქნება ის თუ თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვნულ აზრით უნდა იყოს გამსჭვალული. მართალია ამ სახით შესამჩნევათ ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი მატერიალური მდგომარეობა, რადგან ნაციონალური იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო ინტერესები (იგულისხმე: კლასობრივი ინტერესების!). საერო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თვისი საზოგადო თვითცნობიერების სიმწიფე“ (იქვე) ბ. ჯორჯაძე, როგორც ვხედავთ, სიმწიფის ატესტატს იმეტებს ჩვენი მუშები თვის, ოღონდ კი იმათ დაივიწყონ თავისი კლასობრივი ინტერესები, თავისი შეურიგებლობა კაპიტალისტებთან (სახელდობრ ქართველ კაპიტალისტებთან), მორჩილათ გაუწოდონ კისერი ამ ქვეყნის ძლიერთა საკეთილ-დღეო დაიჩაგრებიან იგინი? მიწასთან გასწორდებიან? სამაგიეროთ ქართველი ბურჟუაზია მოღონიერდება, ზურგს მოიმაგრებს, უცხო ერის ბურჟუაზიას ძლევა-მოსილ მეტოქეობას გაუწევს და ამნაირათ ქართული ვაჭრობა-მრეწველობა და მეურნეობა ქართველთა ხელში დარჩება. აი

*) იხ. № 8.

*) ორი მესამედი ამ პროგრამისა კუჭის ტკივილსა აქვს დათმობილი და ეს უნებურათ თვალწინ გვიდგება იმიტომ, რომ დასელების მატერიალისტური მოძღვრება „კუჭის მრწამსად“ მონათლეს გრძნობა-ფაქიზმა „ივერიელებმა“ და ძმათა მისთა.

ბურჟუაზიას და დროებით დაკარგოს თავისი კლასიური დამოუკიდებლობა. მენშევიკები კი მარტინოვის პირით უარჰყოფენ ამ აზრს (იხ. „დვე დიქტატური“. ამხ. ბრადიაგას რომ ყურადღება მიექცია ამ გარემოებისთვის, მაშინ უფრო კარგა მიხვდებოდა, ვინ „უკარნახებს პროლეტარიატს შავს სამუშაოს“: ბოლშევიკები თუ მენშევიკები.

კობა.

# ახალი ამბები

✦ 13 ივლისისათვის თბილისის სოლქო სასამართლოში დანიშნულია განსახილველათ საქმე გაზ. „სხივის“ **რედაქტორის ვლადიმერ ახმეტელაშვილისა**, რომელსაც ბრალსა ჰდებენ სხივ ს მე 13 ნომერში მოთავსებულ მეთაურ წერილისა და ამავე ნომერში ადმინისტრაციის შესახებ დაბეჭდილ ცნობებისა გამო.

✦ 30 ივლისს სხდ. **უსაქმოთ დარჩენილთა** საბჭომ 1) შეადგინა 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საბჭოს სახელზე შემოსული საჩივრები; 2) დაავალა ერთს წევრთაგანს ფაბრიკანტ კუჩენბახთან მოლაპარაკება არმავირიდან მოყვანილ სომეხ მუშების დატყუების თაობაზე; 3) დაავალა აღმასრულებელ კომისიას, გაიგოს მუშების აზრი მორიგეობით მუშაობის შესახებ და წარმოუდგინოს საბჭოს ამის შესახებ მოხსენება; 4) დაადგინა აგრეთვე მიმართოს საზოგადოებას მოწოდებით უსაქმოდ დარჩენილთა დასახმარებლათ.

✦ გუშინ სადგურის ახლოს ვიღაც უცნობნი თავს დაესხნენ უსაქმოთ დარჩენილ მუშათა საბჭოს წევრებს, რომელთაც ქ. თვითმართველობიდან ფულები იქონდათ ნაძალადევში მუშების დასარიგებლათ, წაართვეს 1275 მანეთი ყაჩაღები მიიმალენ.

✦ ქალაქის თავმა აცნობა **უსაქმოდ დარჩენილ ინტელიგენტების ბიუროს**, რომ 4 ივლის დანიშნულია შეერთებული კრება გამგეობის რწმუნებულთა და ბიუროს წევრებისა. კრებამ უნდა დანიშნოს დღე მუშაობის დაწყებისა და შეადგინოს მუშაობის პლანი.

✦ ბიურო იუწყება, რომ **უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტების** სია ინახება ქ. გამგეობაში და მსურველთ შეუძლია გასინჯოს იგი და თავისი შენიშვნა წარუდგინოს ბიუროს.

✦ როგორც იტყობინებიან, რკინის გზის ნაწილის „ტიაგის“ უფროსად ახლად მოკლულ უფროსის ნაცვლათ ინიშნება მოკლულის თანაშემწე ინჟინერ-ტეხნიკოსი ყაზბეგი.

✦ თფილისის მეხუთე ნაწილის სახლის პატრონნი და დამქირავებელნი სთხოვენ ქალაქის თავს, იშუამდგომლოს გენ. გუბერნატორის წინაშე, რომ 4 ივლისს საღამოს 8 საათზე ნება დართოს კრებას, რომელზედაც მოლაპარაკება ექნებათ მეეზოვეთა და ღამ-ღამობით ყარაულობის შესახებ.

✦ 30 ივლისს ღამით გენერალ გუბერნატორის განკარგულებით **დახურეს** გაზ. „ლამპრის“ რედაქცია, და წაიღეს რამდენიმე ცალი უკვე დაბეჭდილ ნომრისა, ხოლო რედაქტორი კოწია თავართქილაძე დაატუსაღეს.

✦ ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ჯარში გასაწვევ სიების შედგენას. სიებში შეტანილი იქნებიან 1885 წლის 1 ოქტომბრიდან 1905 წ. 1 ოქტომბრამდე დაბადებულნი და ისინიც, რომელთაც 1907 წელს ჯარში გაწვევა უწევთ

✦ **გაფიცვის ბიუროს** განუხილავს რა თამბაქოს ფაბრიკების გაფიცულ მუშათა საქმე, დაუდგენია განაგრძონ გაფიცვა და არავითარი მოლაპარაკება აღარ გამართონ ხაზინებთან სრულ გამარჯვებამდე. გაუგია აგრეთვე გაფიცვის ბიუროს, რომ ზოგიერთი ვაჭარი მიუხედავათ ბოიკოტისა ახლაც ყიდიან თფილისის ფაბრიკების თამბაქოსა და დაუდგენია რომ უკიდურესი ზომები იქმნას მიღებული იმათ წინააღმდეგ, ვინც ამის შემდეგ ბოიკოტს დაარღვევს.

✦ ამ დღეებში ს. ქარელში (გორის მაზრა) ცნობილ გიორგა სტრაჟნიკს მოუკლავს ახალგაზრდა ყმაწვილი პეტრე ქელესაშვილი. სტრაჟნიკს მოკლულისთვის გაუხდია ტანისამოსი და თუ რამ გააჩნდა თან წაუღია. ამბობენ ქელესაშვილი რეაქციის დროს პოლიციას ემალებოდაო.

✦ 1886 წელს კავკასიაში სალდათობის შემოღების დროს მოხდა ხალხის საერთო აღწერა. ამ აღწერით სარგებლობდენ დღევანდლამდე სასალდათოების გაყვანის დროს. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვით ნამესტნიკის კანცელარიაში შესდგომიან მუშაობას ახალ საყოველთაო აღწერისათვის.

# პრესა

„ლამპარი“ მაინც თავისას ღაღადებს „სათათბირო რევოლიუციის ცენტრიაო“ (იხ. № 54). დამტკიცება? კაუცკი ასე ამბობსო! ჩაუკვირდეთ საქმეს. როდის შეიძლება სათათბიროს რევოლიუციის ცენტრი დავარქვათ? მხოლოთ მაშინ, როცა ის ხალხის მოთხოვნებს თავის მოთხოვნებათ გაიხდის, როცა ის რევოლიუციის ბელადათ გადაიქცევა და უკან გაიყოლებს ხალხს. გლეხკაცობა მიწების ჩამორთმევას ითხოვს. მიიღო თუ არა სათათბირომ ეს მოთხოვნა? არა, მან უარჰყო ის. მუშები შეღავათიან პირობებს და 8 საათის მუშაობას ითხოვენ. მიიღო სათათბირომ ეს მოთხოვნა? არა, მან უარჰყო ის. მთელი რევოლიუციონური ხალხი დემოკრატიულ რესპუბლიკას ითხოვს. სათათბირომ კი სიტყვა „დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოთქმაც“ კი აუკრძალა ამხ. რამიშვილს (იხ. „ეხო“ № 2.)! შეიძლება ამისთანა სათათბიროს რევოლიუციის ბელადი, მისი ცენტრი დავარქვათ? ცხადია არ შეიძლება. მაშ რა აზრით უძახის კაუცკი რევოლიუციის ცენტრი. „ლამპარი“ ფიქრობს, რომ სათათბირო ხალხს შემოიკრებს და სწორეთ ამასა ჰქვია მისი რევოლიუციის ცენტრათ გადაქცევაო (იხ, № 52). კაუცკი ასე ფიქრობს? აი რას ამბობს ის:

„ვერც კადეტები და ვერც ლიბერალები ვერ აიცილებენ კონფლიქტს: რაც უფრო ეცდებიან გლეხებთან კონფლიკტის მოსპობას, მით უფრო მაგრა უნდა შეებრძოლონ მთავრობას. ხოლო თუ უკანასკნელს დაემორჩილებიან, გლეხთა აჯანყებას გამოიწვევენ“ (იხ. „სახ. სათათ.“ 6 გვ. რუს. ლ.)

ცხადია, კაუცკის აზრით თუ კადეტები მთავრობას დაემორჩილებიან და გლეხებს გადაუდგებიან, არა თუ ვერ შემოიკრებენ ხალხს, არამედ ზიზღს დაიმსახურებენ და აჯანყებასაც კი გამოიწვევენ მთავრობისა და თავის წინააღმდეგ. კაუცკის ბროშიურა ადრეა დაწერილი, მაშინ კადეტებს არ იცნობდნენ. დღეს ვიცით, რომ კადეტებმა უკვე უღალატეს გლეხებს. მაშასადამე ისინი არა თუ ვერ შემოიკრებენ ხალხს, არამედ აჯანყებასაც-კი იწვევენ თავიანთ წინააღმდეგ. აი როგორია კაუცკის აზრი. „ლამპარი“-კი სულ სხვას ქადაგებს და სათათბიროს მხარის დაჭერას გვირჩევს, რომელსაც ვითომდა ხალხი შემოიკრიბა და რევოლიუციას უძღვის, მიუხედავათ იმისა, რომ ის ხალხს ღალატობს. და თუ კაუცკი მაინც რევოლიუციის ცენტრს უწოდებს, ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ სათათბირო ხალხის ყურადღებას იქცევს. ან უფრო მკაფიოთ რომ ვთქვათ სათათბირო ხალხის ცრუ იმედების ცენტრია, მისი ყურადღების ცენტრია, და არა მის რევოლიუციონური ბრძოლის ხელმძღვანელი. ძალიან კარგს იზამდა ამხ. ნ. ხ. თუ ასოებს გარდა, შინაარსაც დააკვირდებოდა კაუცკის წიგნში და ასე თავისუფლად არ გადაამახინჯებდა მის ნათელ აზრს...

ნ. ხ-ს საერთოთ უყვარს გადამახინჯება. აი მაგალითად, ის გვისაყვედურებს: როდისა ვთქვი, რომ „კადეტების სამინისტრო მოსპობს თვითმპყრობელობასაო“? მერე ვინ დაგაბრალათ მაგისი თქმა, ეითომდა აღშფოთებულო ამხანაგო? ჩვენ ვწერდით, რომ თქვენი აზრით პასუხის მგებელი სამინისტრო „ძირიანათ შლის დღ განდევს თვითმპყრობელობას“ (იხ. „ახ. ცხ.“). ამბობთ თუ არა თქვენ ამისთანა აზრს? დიახ, ამბობთ. წაიკითხეთ თქვენივე სიტყვები:

„ჩვენ პასუხის მგებელი სამინისტროს შემდეგნით გვინდა ეს პრინციპი (თვითმპყრობელობის პრინციპი) მოვშალოთ, სამინისტრო პასუხის მგებელი გავხადოთ, ის დაუქვემდებაროთ დუმას. ვიმეორებთ, **ის ძირიანათ შლის თვითმპყრობელობას**“ (იხ. 5ა №).

ასე სწერდით თქვენ, და თუ თქვენივე სიტყვები დაგვიწყებიათ, ან თუ ვერ გაგიგიათ, რას ამბობთ, ანდა თუ ჩემი დაწერილის წაკითხვა არ შეგძლებიათ, ისევ თქვენს თავს დააბრალეთ, მოგინდომებიათ ჩემი სიტყვები: „ძირიანათ შლის“ გადააკეთოთ სიტყვებათ: „ძირიანათ სპობს“ და ასე ფონს გახვიდეთ, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს ისეთი კოჭლი ტყუილია, რომელიც ბავშვსაც კი არ გამოეპარება. ან რა ძალა გადგიათ, თქვით წამოსცდა თქო და მორჩა და გათავდა—ნუ გეშინიანთ, თავს არავინ გაგიტეხთ. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ თქვენ მხარს არ უჭერთ კადეტებს, ამაზე უნდა გითხრათ, რომ თქვენი ბელადები არამც თუ მხარის დაჭერას გვირჩევენ, არამედ შეთანხმებაზედაც კი არ ამბობენ უარს (იხ. გოლოს ტრუდა № 2—3).

# კავკასია

**ქვიშხეთი.** რეაქციამ არც ჩვენი სოფლები დასტოვა უყურადღებოთ. წარსულ ქრისტეშობისა და იანვრის თვეში, ჩვენ სოფლებსაც შემოესივნენ კაზაკები და ააწიოკეს მთელი მხარე, რომელ სოფლებსაც კი შეესივნენ, შიგ ალარაფერი გაუშვეს. კრუხად დამსხდარ ქათმებსაც კი, კვერცხებს აცლიდენ და კრუხებს ხანჯლით თავებს აყრევინებდნენ და სახლებში რომ შედიოდნენ ჩრეხკდნენ სკივრებს, ყუთებს თუ გოდრებს, პირქვე აქცევდენ, ამტვრევდნენ და რაც კი მოეწონებოდათ, ქალის სამკაული იყო თუ კაცისა გაიტაცეს. ბარ-ბურის ციხეში კაზაკებმა, აიკლეს და დახოცეს ამ სოფლის მცხოვრები გელაშვილები 4 სული. მამა, შვილი, ძმის წული და სიძე, მამა მოხუცი 60 წლისა და მეორენი ჯანღონით სავსე ვაჟკაცები. ასე გამოასალმეს უდროვოდ მთელი ოჯახი წუთი-სოფელს.

კაზაკების შემოსევის მიზეზათ გლეხები ასახელებენ პირდაპირ ქვიშხეთის მემამულე თავად-აზნაურობას. (40 კომლამდეა). ყველა ესენი ხელმძღვანელობდნენ კაზახებს, სოფლის დარბევა აწიოკებას, მთავრესათ კი კაზაკების, ჩვენ სოფელში შემოსევა და ეკზეკუციის ჩაყენება, ქვიშხეთის დიდი მემამულეების: სუმბათოვის და განძელის ბრალი იყო. ჯერ ამ ზემოხსენებულ ბატონებმა 100 კაზახი სოფელს ეკზეკუციათ ჩაგვიყენეს, მერე მოგვთხოვეს ამათ სარჩენათ დღეში ექვსი თუმანი, და სამ დღეში მინამ ამას შევკრებდით, ჩვენ კარ მიდამოში რაც კი მოასწრეს გაანადგურეს: ძროხა, ცხვარი, ღორი, ქათამი და სხვა. 3 დღის შემდეგ ჩავაბარეთ კაზაკებს 180 მანეთი და დარბევისგანაც ხელი აიღეს; ახლა მხოლოდ, სუმბათოვს და განძელს დასდევ-

რანაირი სიკეთე დაითესება, აი რა რიგათ აშენდება ქვეყანა! აი რა ყოფილა ერის საერთო ინტერესები, რომლის გადაწყვეტაში ერთნაირათ დაინტერესებული უნდა იყვნენ ყველა კლასები, ანუ ჯორჯაძის ტერმინოლოგიით „ჩვენი მოპირდაპირე დასები“. ამ ნაირათ ეს „საერთო ინტერესები“ ბურჟუაზიის სასარგებლოთ და მუშა ხალხის საზარალოთ წყდება. ეს ჯორჯაძემაც კი დაინახა და... ვეღარ შესძლო ამ პოზიციაზე დგომა, მიატოვა იგი. დღეს ასეთი პოზიციის დასაცველათ ხმას არავინ იღებს, ვერ გაბედვენ მის დაცვას ჩვენი ფედერალისტები, — ისინი ხომ, მათი სიტყვით, ნაციონალისტები არ არიან. ამნაირათ, თუმცა ეს ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, რომლის იდეოლოგობა ჯორჯაძეს არგუნა ისტორიამ, უკვე ჩაბარდა პატრონს და დღეს მას ერთი ჭირისუფალიც არ გამოუჩნდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საფრთხე აღარსად იყოს და ნაციონალიზმს სხვა სახით არ შეეძლოს მოვლინება.

მართლაც ავიღოთ ის მიმართულება, რომელმაც პირველათ დაიწყო აშკარათ და დაჟინებით ლაპარაკი საქართველოს ავტონომიაზე და რომლის ორგანო „საქართველო“ იყო. აი რასა სწერს ის: „ეროვნების დაცვა, ჩვენი შეხედულობით, დაცვაა დედა ენისა, ურომლისოდაც ხალხს აზრის გამოსათქმელი იარაღი ეკარგება, დაცვაა ეროვნულ დაწესებულებათა, რომელთა საშუალებით ხალხი თავის საქმეებს განაგებს, დაცვაა ხალხის შრომისა და ნაამაგარისა და აი რათა შევინახოთ ენა მოვიპოვოთ პოლიტიკური დაწესებულებანი, გადავარჩინოთ ხალხის ნაშრომი და ნაამაგარი, საჭიროა მოისპოს ჩვენში ადმინისტრატიული რეჟიმი, ქვეყანას თვით მართველობა მიენიჭოს და საქართველოს ეროვნულ ავტონომიას საძირკველი ჩაეყაროს.“ აქაც ისეთი ხალიათის პროგრამაა, რომ უეჭველათ „ერის საერთო ინტერესების“ ძილის პირებს უნდა მოველოდეთ. მე-№ 4-ში ის ამ იმედს გვიმართლებს: „მოსაპოვებელი და საბრძოლველი საგანი ეროვნული ავტონომია გვაქვს. მაშასადამე ერთი რაზმი (კურსივი ჩემია) უნდა შესდგეს ყველა იმ მებრძოლთაგან, რომელთაც სწადია ამ ავტონომიის მოპოვება. ვინ არიან ესენი? გაბედავი თავად-აზნაურები, რომელნიც ისარგებლებენ თავიანთი თავად-აზნაურული უფლებებით და საჯაროთ იტყვიან, რომ... ქართველი ხალხის აღორძინებისათვის საჭიროა საქართველოს თვითმპყრობელობა მიენიჭოს“. აგრეთვე „ქართველი ეპისკოპოსები და მღვდლები“, რომელნიც „ქართულ ენას, სკოლასა და ეკლესიაში სახმარებლათ მედგრათ დაიცავენ“; შემდეგ გაბედული ინტელიგენცია—მწერლები, იურისტები, ექიმები, მასწავლებლები... რომელთაც კრებებზე სრული სიმართლე უნდა სთქვან საქართველოს მდგომარეობის შესახებ, აღიარონ თვითმოქმედების საჭიროება:“ შემდეგ—სტუდენტობა, მერე გლეხობა და ბოლოს „ქართველი მუშა“ აქაც იგივე საერთო მოქმედების ნიადაგის შებნა, საერთო რაზმის შედგენა, საერთო ინტერესების წამოყენება. აქ საინტერესო ის არის, რომ მუშა ხალხს კი არ ურჩევენ დათმობის გზას დაადექი და ბურჟუაზიას გაუმდიდრეო, პირიქით ბურჟუაზიას და თავად-აზნაურობას ურჩევენ მშრომელ ხალხს დაუთმე, „კერძო ინტერესები საერთო საქმეს შესწირეო“

**სხვაველი.**

(შემდეგი იქნება)

დნენ ისინი და მუქარით გვეუბნებოდნენ: რაც ბატონებმა შემოგაწერათ უნდა გადიხადოთ. თორემ მთლათ გაგანადგურებთო. საჭიროა აღვნიშნო, რომ სუმბათოვმა შეგვაწერა ასი თუმანი, და განძელმა სამოცი თუმანი. პირველმა და მეორემაც ამდენი გადასახადი იმიტომ შემოგვაწერეს რომ, ვითომ ჩვენ ამ მებატონების ტყე გაგვეჩეხოს უფასოთ და ძალმომრეობა გვეხმაროს; ეს ყველა ტყუილი და ცილის წამება იყო. ნამდვილათ კი ჩვენ სოფელს ტყის იჯარას მებატონე წინათვე გვახდევინებს კომლზე 10 მან. წელიწადში. ხარიანსაც და უხაროსაც ერთ ნაირად გვახდევინებენ ტყის ბაჯს, ა'ე რომ როცა მებატონეებმა ზემოხსენებული, ას სამოცი თუმანი; კაზაკების ძალ-დატანებით გადაგვახდევინეს სოფელს. უკვე წინად გადახდილი გვქონდა და ზოგს უხარობის და ულონობისა გამო ხელდრი შეშა არც-კი ქონდა ჩამოტანილი ტყიდან.

რაც შეეხება კულუხას, სალალო გადასახადს, ეს იმ წელს უმრავლესობას გადახდილი გვქონდა და თუ ზოგიერთებმა ვერ გადიხადეს ეს იმის ბრალი იყო, რომ წარსულ წლებში მოსავალი ნაკლები იყო მებატონებს რადგან ისეთი კანონი აქვთ გლეხებზე დადებული ღალის გადახდაზე, რომ მოსცდება მ წა თუ ნაკლები მოსავალი მოვა, გლეხმა მაინც კულუხა მიწის ღალა უნდა იხადოს ბატონის სასარგებლოთ; გარდა ამისა დღიურზე 3 დღე უნდა უშველოს მებატონეს უფასოთ და ერთი მანეთიც ფულად უნდა მისცეს ბატონს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ასი თუმანი უსამართლოთ და ძალ-დატანებით გადაგვახდევინა სუმბათოვმა სოფელს. განძელმა-კი სამოცი თუმანი უკანვე დაგვიბრუნა *): მე თქვენი ფული რათ მინდა, წაიღეთ და გახსოვდეთ ვინცა ვარო. სამაგიეროთ კი სოფელი მთელი კვირა გვამუშავა ტყეში და რაც-კი რამ იყო; ფიჩხი, შეშა თუხე-ტყე, რომლის იჯარაც სოფელს წინათვე ჰქონდა გადახდილი, თავის სახლში განძელმა ჩამოგვაზიდინა და ტყეც გაგვასუფთავებინა; ვისაც-კი 3—4 წლის წინათ იჯარის გადახდით მოეჭრა რამე და თავისი ულონობით და უხარობით ვერ ჩამოეტანა, ესეც თავის სახლში მიგვატანია ჩვენი ურმით და ხარჯით, გამოგვისტუმრა და გვითხრა: გახსოვდეთ რომ სხვის საკუთრებას ხელი აღარ შეახოთ და თუ შეეხეთ ვისმეს საკუთრებას, მაშინაც თქვენი ერთობა ეგრე გიშველით, როგორც ეხლაო.

აი ასეთი მუქარით და ბობოქრობით გამოგვისტუმრეს ჩვენმა ბატონებმა, რომლებიც აქამდინაც ჩვენის ოფლითა და შრომით ფუფუნებდნენ და ეხლაც ჩვენი ოფლით და სისხლით ძღებიან, კიდეც გვემუქრებიან სისრულეშიაც მოყავთ თავიანთი მუქარა: დაიყენეს მოურავებად ჩვენივე ისეთი მეზობლები, რომლებიც ყოვლად გაფუჭებულები, მოძმის გამყიდველი მოღალატეები არიან და ისედაც გაძვალტყავებულ გლეხებს სულს გვიხუთავენ.

ტყუილათ ავიწყდებათ ჩვენ ბატონებს და მათ მოურავებს, რომ „აღმართს დაღმართიც აქვს“ მათ მიერ განაწამები და შეგინებული ხალხი მალე წელში გაიმართება და ერთი ორათ აუნაზღაურებს „პატივის ცემას“.

**უსწავლელი გლეხი**

---

*) 600 მ. განძელის და 1000 მ. სუმბათოვს რომ მივეცით, გავყიდეთ ნახევარ თუ მესამედ ფასად, ჩვენი მარჩენელი საქონელი ხარი, კამეჩი, ცხენი და თუ გვებადა რამე. ასე რომ თუმცა 600 მან. განძელმა უკან დაგვიბრუნა, მაგრამ ჩვენ ნახევარ ფასათ გაყიდულ საქონელს აბა ვილა დაგვიბრუნებდა,

# პარტიის ცხოვრება

რ. ს.-დ. მ. პ. ჩრდილო-დასავლეთ კავშირის სიეზდმა, რომელსაც შეადგენს ვილნოს საოლქო ორგანიზაცია, დვინის კ., დვინის საოლქო ორგანიზ., მინსკის, კოვნოს და პინსკის ჯგუფები სმორგონის ორგან. და ვიტებსკის ჯგუფი,—სათათბიროს შესახებ ცენტრ. კომ. რეზოლუცია მიიღო.

✦ ბუნდის ცენტრალურმა კომიტეტმა მეშვიდე სიეზდი თვის დელეგატების საარჩევნო წევრები გამოაქვეყნა. ყველა ორგანიზაციას, რომელშიაც 80, ან მეტი შეკავშირებული მუშა შედის ხმის უფლება ეძლევა. პარტიის 300 წევრი 1 დელეგატს ირჩევს. რომ უმცირესობის უფლება არ დაირღვეს, ც. კ. 200 წევრსაც აძლევს დელეგატის არჩევის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ მათი შეხედულება რ. ს.-დ. მ. პარტიასთან შეთანხმების შესახებ არჩეული დეპუტატის შეხედულებას არ ეთ ნხმება.

✦ 30 ივნისს მოხდა ნოქრების ორგანიზაციის წევრთა პარტიული კრება წესდების პროექტის განსახილველათ. პროექტი მიღებულ 18 ხმით 16 წინააღმდეგ იმ შენიშნვებით, რომელიც მოყვანილია „ახალი ცხ.“ მესამე №-ში.

# მუშათა ცხოვრება

ხარფუხის 4 პადრაიონის (ტყავის ზავოდი) მუშები **ბოიკოტს უცხადებენ კრწანისის მებაღეებს,—ტაია და მელია ვიგოლის,** რომელთაც გადაუწყვეტიათ პრაპაგანდისტების და აგიტატორის დევნა და მართლაც ერთ პრაპა ანდისტს რევორვერითაც დასდევნებიან.

# რუსეთი

**გლეხების მოძრაობა**. ტულის გუბერნიაში გლეხები მთელ მოსავალს სთხოვენ მემამულეებს. თითეულ დესეტინაში **9** მანეთს პირდებია სასყიდლათ. მემამულეები, რა თქმა უნდა არ უთმობენ, ამიტომ ახლო მომავალში გლეხები გაფიცვას აპირობენ.

— მელიტოპოლის მაზრაში გლეხებმა კალოებზე შემდეგი განცხადება გამოაკრეს: მემამულეები ტყუილათ ნუ შესწუხდებიან და პურის მოტანაზე ნუ იზრუნებენ, რადგან ამას უიმათოთაც მოახერხებენო

— მორშანსკის მაზრაში გლეხების გაფიცვა დაიწყო. არც ერთი გლეხი აღარ მუშაობს მემამულეების ადგილებზე. პოლიციის დეპარტამენტმა განკარგულება მოახდინა „შესაფერ ღონის ძიებათა“ შესახებ.

— გლეხთა შეგნებული მოძრაობა ახლა და ახლა იშვიათი მოვლენა აღარაა რუსეთში. სტიქიური მღელვარება აზრიან ბრძოლას უთმობს ადგილს. ენა-ჭარტალა სათათბირომ გააკეთა კიდეც რის გაკეთებაც შეეძლო: მან დაარწმუნა გლეხები რომ უძლურია და ლაყბობის მეტი არაფერი შეუძლია, ამის დამამტკიცებელია ის რომ გლეხკაცობა აღარ ელოდება სათათბიროსაგან „შველას“ და თითონ იწყებს თავის საქმეებზე ზრუნვას. მთელი რუსეთი მოძრაობაშია გახვეული და რუსეთის დღევანდლამდე ყრუ სოფლებში ახლა ასეთი სიტყვები გაისმის: „სჩანს, აღარაფერს აღარ იძლევა ეს სათათბირო. რახან ასეა ჩვენ თითონ გადავწყვეტთ მიწის და თავისუფლების საკითხს“... „მაშ, აღარც მიწა, აღარც თავისუფლება?! კარგი და პატიოსანი!“— მუქარით გაიძახოდნენ გლეხები გლეხთა წარმომადგენლების უკანასკნელ სიეზდზე. მინისტრების ცნობილმა დეკლარაციამ დიდი გავლენა იქონია გლეხებზე. მაისის 13-ში წაიკითხეს მინისტრებმა ეს დეკლარაცია და გლეხების მოძრაობაც სწორეთ მაისის შუა რიცხვებიდან გაძლიერდა ტულის, პენზის, ორიოლის, კიევის, ნ.-ნოვგოროდის და სხვა მრავალ გუბერნიებში.

**რუსეთის მხედრობა და რევოლიუცია** პეტერგოფში ძალიან გახშირდენ ყაზახების და სალდათების ფორმაში გადაცმული ჯაშუშები, რომელნიც სალდათებს უთვალთვალებენ და ცდილობენ მათი რწმენა და შეხედულებანი შეიტყონ. ამათ წყალობით რამდენიმე სალდათი დაატუსაღეს კიდეც.

სამარყანდში ამას წინათ საპიორთა ბატალიონს მთავრობის ერთგულებაზე ფიცი უნდა დაედო. ბატალიონის ერთმა ნაწილმა უარი განაცხადა ფიცის მიღებაზე. „ურჩი“ საპიორები მაშინვე დაატუსაღეს. **ძალამ არ გასჭრა.** „ვარსკვლავოსანთა დარბაზში“ (კამარილას უწოდებენ ამ სახელსა) თან და თან რწმუნდებიან, რომ „გაძლიერებული წესები— ბრიყვების საშვალებაა“. ამას ამტკიცებს ის გაუთავებელი ტერრორი, რომელიც სამხედრო და გაძლიერებული წესებით შებოჭილ ქალაქებში სწარმოებს. როგორც ისმის, მთავრობა ასეთი წესების გაუქმებას აპირებს.

**მთავრობის რყევა**. არ იქნა, ვერ გაბედა მთავრობამ ახ ლი სამინისტროს შედგენა. დღეს რომ გადაწყვეტს კადეტების „გამინისტრებას“, ხვალ ისევ გადაფიქრავს. ახლა, როგორც ამბობენ, მთავრობას ანაზდეულათ სტოლიპინის „ნიჭი“ და „ძლიერება უგრძნია და დიდ მედებს ამყარებს თავის მინისტრის ასეთ ღირსებაზე.

# დეპეშები

**(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)**

**29 ივნისი.**

**მოსკოვი.** მთელი რუსეთის მშრომელთა დამხმარებელ საზოგადოების წარმომადგენელთა სიეზდმა 8 საათი მაქსიმალურ სამუშაო დღეთ იცნო, იმ დარგებში, სადაც ძალიან საძნელოა მუშაობა არის უფრო მოკლე სამუშაო დღის დაწესებაა საჭირო.— სახელმწიფო სათათბიროს წევრი რამიშვილი აქ სამი დღე დარჩება. დღეს ის ნოქრების მუშების კრებებზე იყო. თავის სიტყვაში ის იწვევდა პროლეტარიატს შეერთებისკენ და უხსნიდა მუშებს სოციალდემოკრატიულ ფრაქციის ტაქტიკას.

**იუზოვკა.** გლეხებმა დასწვეს ეკონომიური სახლი და აუარებელი თივა. გამოიწვიეს დრაგუნები. გლეხებში მღელვარება ძლიერდება.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გუშინ ტუსაღების სეირნობის დროს ადგილობრივი ციხიდან გაიქცა პოლიტიკური ტუსაღი ქალი ბურდინა, ის ჯერ ვერ დაიჭირეს.

**რეველი.** სატუსაღოდან გაიქცა ორი ტუსაღი, ერთი დაიჭირეს.

**ბელოსტოკი.** ფაბრიჩნი ქუჩაზე აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა და მრავალი შრიფტი მეორე ადგილას აღმოაჩინეს გექტოგრაფი. დაიჭირეს მიკლაშევიჩი და ქერონსკი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ჩუხნინს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა. „ღრმათ დაწუხრებული ვარ თქვენი მეორეთ დაჭრით. თქვენ ტახტისა და სამშობლოს საუკეთესო მოსამსახურეთ აგანიხართ. თქვენ გმირულათ იცავდით შავი ზღვის ფლოტის სამხედრო დისციპლინას, ჩვენი ფლოტის საბედნიეროთ გაგკურნოს+უფალმა. სულითა და გულით თქვენთან ვარ“.

— საღამოს იმ „ლომოვიკებს“ რომლებიც უქმეებზე მუშაობას უარჰყოფენ, ჩხუბი მოუვიდათ დანარჩენ ამხანაგებთან. ხუბში 2000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. დასამშვიდებლათ მოსულ პოლიციას ქვები დაუშინეს. დაშავებულია: პოლიცმეისტერი და ორი ბოქაული.

**პეტერბურგი.** გაათავისუფლეს ნიჟნი-ნოვგოროდში 5, კოსტრომაში—4, და ბიისკში 3 პოლიტიკური ტუსაღი.

**პარიჟი.** ბურჟუაზიული გაზ. „ტანი“ თავის მოწ ნავე წერილში აღნიშნავს რომ სახელმწიფო სათათბიროს უკანასკნელმა სხდომებმა, განსაკუთრებით კრებების თავისუფლების საკითხის განხილვამ გამოარკვია, რომ სოციალისტურ თეორიებს კადეტები არ თანაუგრძნობენ. გაზეთი დასძენს რომ კარგი იქნება კადეტებმა დაანებონ მემარცხენეებთან დათმობის პოლიტიკას და შეადგინონ „დუმის“ უმრავლესობისაგან ერთი საერთო ჯგუფი რომელიც სოციალისტებს და ზოგ „ტრუდოვიკებს“ ანარქისტულ პროპაგანდაში შეუშლის ხელს.

**30 ივნისი.**

**პეტერბურგი.** მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმე გაირჩევა 19 სექტემბერს, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით.

**მოსკოვი.** დაიწყო მებულკეების საერთო გაფიცვა. ქალაქში პურის სიცოტავეა.

**კერჩი.** დაიჭირეს დევინი, რომელიც ჯარში პროკლამაციებს ავრცელებდა.

**მინსკი.** მინსკის ქალაქის თავი სამსახურიდან გადააყენეს.

**ომსკი.** 60 გადასახლებულს სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს.

**პეტერბურგი.** ყველა ფაბრიკებმა და ზავოდებმა ამოირჩიეს წარმომადგენლები, სახელმწიფო სათათბიროს სოციალდემოკრატიულ ფრაქციასთან კავშირის დასაჭერათ.—შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მთელი რუსეთის რკინის გზებზე ჟანდარმებს „ვინტოვკები“ ჩამოერთვათ.—გაიხსნა მუშების თვითგანვითარების საზოგადოება „მუშათა ცხოვრება“

**ზადონსკი.** დრაგუნებმა წესიერება აღადგინეს. გარეშემო მემამულეების ქონება გადამწვარია.

**ვლადიკავკაზი.** დეკემბერში მომხდარ აჯანყების მოთავე რევოლიუციონერების საქმის გამოძიება გათავდა. პროკურატურა ბრალს სდებს პიატიგორსკის ნაწილის ატამანს გენერალ-მაიორ გრამოტინს.

**უფა.** ივლისში აქ გაასამართლებენ 17 კაცს, რომლებსაც სალდათებში ყუმბარების გადაგდება ბრალდებათ. ბრალდებულებს გაასამართლებენ 279 მუხ. ძალით ამ მუხლის ძალით დამნაშავეს სიკვდილით დასჯა ელის.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. თავმჯდომარე მურომცევია. თავმჯდომარე კითხულობს ინგლისის პარლამენტის 326 წევრის დეპეშას. „დუმამ“ გადასწყვიტა ინგლისის პარლამენტის წევრების სალამს, სალამით და მადლობით უპასუხოს.

აგრეთვე გადასწყვიტეს საერთაშორისო პარლამენტარულ კონფერენციაზე გაუგზავნონ წარმომადგენელი. შემდეგ „დუმა“ შეუდგა არჩევნების სისწორის განხილვას. ყარსის ოლქში მომხდარი არჩევნები კანონიერათ იცნეს. ბევრი მსჯელობა გამოიწვია 15 კაცისგან შემდგარი კომისიის მოხსენებამ, რომელშიდაც კომისსია წინადადებას იძლევა აირჩიონ აგრარულ კომისსიაში ციმბირის და კავკასიის დეპუტატებისგან თითო კაცი. მაკუშინი (ციმბირიდან) და ბარათოვი (კავკასიიდან) მხარს უჭერენ კომისიის წინადადებას. „დუმამ“ მიიღო წინადადება.

---

რედ. გამომც. **ნ. ახმეტელაშვილი.**